№ 207 ოკტომბერი 5, ოთხშაბათი 1888 ოკტომბერი 5, ოთხშაბათი № 207


ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


გაზეთი „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ პირველ ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ტფილისი, 4 ოქტომბერი

მთელი ჟურნალ-გაზეთობაა და იმპერატორ ვილჰელმის სტუმრად წასვლა ავსტრიასა და იტალიაში. საიდუმლოება, რომელიც ჯერ ხანად თანა სდევს ამ უცნაურს მისვლა-მოსვლას, ვერავის აუხსნია, ვერავის გაუგია, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ საიდუმლოებაზედ, როგორც სალესავს ჩარხზედ, რაც ძალი და ღონე აქვს იჩარხება ჟურნალ გაზეთების სადღერძელო-აშლილი ენა. ზოგი ამბობს, რომ გერმანიის იმპერატორმა პეტერგოფში ყოფნის დროს იკისრა როგორმე მოარიგოს ერთმანეთში რუსეთი და ავსტრია ბალკანეთის საქმისა გამო და ამიტომაც ნახვა მოისურვა ავსტრიის იმპერატორისა და იტალიის მეფისა, ურომელთოთაც ეს მორიგება მოუცილებელი და მოუფიქრებელია. ეს შუა-კაცობა იმიტომ იკისრა გერმანიის იმპერატორმაო, უმატებენ გაზეთები, რომ ჯერ გული მოიგოს რუსეთის იმპერატორისა და მერე ბოლგარიის საქმის მშვიდობიანად გათავებით ერთი მწვავე მიზეზი აშლილობისა ევროპას თავიდამ მოაცილოსო. ორივე განზრახვა ფრიად მოსაწონია, თუ მართალია.

მეორე ჯურის გაზეთები-კი სულ სხვას ამბობენ. ესენი იძახიან, რომ ავსტრიისა და რუსეთის მორიგება შეუძლებელია უიმისოდ, თუ ამ ორმა სახელმწიფომ ერთმანეთს არა დაუთმეს რაო და რადგანაც ამ მხრით ორივენი მაგარზედ სდგანან, გერმანიის იმპერატორს ყოველივე იმედი მორიგებისა უნდა დაჰკარგოდაო. თუ ეს ასეა, რადად იკისრებდა იმისთანა საქმეს, რომლის გატანის იმედი წინადვე გადაწყვეტილი უნდა ჰქონოდაო. არც ეს სიტყვაა უსაბუთო და ჭკუაზედ შორს. მაშ რისთვის არის საჭიროდ დანახული ავსტრიის იმპერატორისა და იტალიის მეფის ნახვა გერმანიის იმპერატორისაგან? ნუ თუ მარტო თავაზმა და პატივისცემამ მიიწვია იმპერატორი ვილჰელმი ამათ სანახავად? არიან იმისთანა გაზეთებიც, რომელნიც ამას იძახიან, მაგრამ არავინ-კი უჯერებს. ხოლო უფრო ჭკუა დამჯდარი გაზეთები-კი ამბობენ, რომ ამ გვირგვინოსანთა სტუმარ-მასპინძლობას სხვა სარჩული უდევსო. გერმანიის იმპერატორს ჰსურს პირდაპირ მოლაპარაკება ეხლანდელ საპოლიტიკო საქმეებზე თავისს გვირგვინოსან მეგობრებთა და მომხრეებთანაო. ამ პირდაპირის ნახვითა და საუბარით ჰსურსო უფრო გააძლიეროს ამათ შორის უკვე არსებული კავშირი და მომხრეობა. გერმანია უთავდებებს ერთის მხრით იტალიას შველას, თუ ვინიცობაა საფრანგეთთან იტალიას ომი აუტყდება, ან სხვა განხეთქილება რამ ჩამოუვარდება, და მეორის მხრით ავსტრიას, თუ ვინიცობაა ბალკანეთის საქმე საიმისოდ აიშლება და აიწეწებაო. თვითონ-კი გერმანია ამათგან ამისთანავე შველასა და მომხრეობას მოითხოვს, თუ ვინიცობაა საფრანგეთთან დაეჯახება მოუხდება. ესეთი თავდებობა ურთიერთისთვის წინადაც იყო ამ სამთა სახელმწიფოთა შორის და საფიქრებელია, რომ ეხლანდელთა დროთა ვითარებამ ამ თავდებობის განახლება და გაძლიერება მოანდომა გერმანიის იმპერატორსაო.

მართლადაც, კაცი რომ დაუკვირდეს იმ სიტყვებს, რაც ერთმანეთს უთხრეს სადილზედ ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებმა, უეჭველია, რომ აქ უკვე არსებულის კავშირისა და მომხრეობის გაძლიერება უფრო ჰსურვებიათ, ვიდრე სხვა რამე. ავსტრიის იმპერატორმა ადღეგრძელა იმპერატორი ვილჰელმი და მთელი იმისი სახლობა, მას მერმედ დალია სადღეგრძელო პრუსიისა და ერთობ გერმანიის „სამაგალითო“ მხედრობისა, რომელიც თვისის მხედრობის „ამხანაგად“ მოიხსენია. იმპერატორმა ვილჰელმმაც ახსენა ავსტრიის მხედრობა თავისი მხედრობის „ამხანაგადვე“. ესეთს ხსენებას მხედრობისას დიდს მნიშვნელობას სწამებენ გაზეთები. მართალიც არის. მშვიდობის მსურველთ ამისთანა შემთხვევაში ძნელად თუ მოაგონდებათ თოფი და იარაღი, ესე იგი მხედრობა, და თუ მოაგონდებათ, ამხანაგად ხსენებას ხომ უნდა მოჰკრიდებოდნენ და მოჰკრიდებოდნენ ნამეტნავად დღევანდელს დღეს, როცა ყოველივე ამისთანა სიტყვა ყუმბარასავით მოხვდება ხოლმე უამისოდაც შეშინებულს ყურს ევროპიისას. რაკი ეს „ამხანაგობა“ ითქვა, ცოტად თუ ბევრად აეხადა ფარდა იმპერატორ ვილჰელმის სტუმრად წასვლასაც ავსტრიის იმპერატორთან.

[stamp] ...ფონდის ...

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** პარასკევს, 30 სექტემბერს, ბ-ნთ გ. დ. ქართველიშვილმა და ი. მ. მეუნარგიამ მიართვეს მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას, —პირველმა მისგან გამოცემული სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ ხავერდის ყდით, რომელზედაც ოქროს ასოებით იყო წარწერილი ქართული ასოები მ და თ, და მეორემ—მისგან შედგენილი რუსულს ენაზე წიგნაკი, რომელშიაც მოკლედ გამოთქმული იყო რუსთველის პოემის შინაარსი. ბ-ნნი გ. ქართველიშვილი და ი. მეუნარგია ღირსნი გახდნენ მისის უდიდებულესობის მადლობისა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს თ. ჟორდანიას მოუპოვებია ერთი შესანიშნავი ხელთ-ნაწერი წიგნი, ვახუშტის საკუთარის ხელით ნაწერი, რომელიც შეიცავს 284 გვერდს. წიგნის სათაური შემდეგია:

„მოკლე ქვეყნების გეოგრაფია, გამოცემული რუსულს ენასა ზედა (ან ქართულს ენასა ზედა) არადის ატლასისა მიმართ განწყობილი გასახმარებისათვის გიმნაზიისა იმპერატრულის აკადემიისათვის.

სანკტ-პეტერბურღსა შინა 1745 წელსა, ხოლო ქართულს ენასა ზედა 1752 წ. აგვისტოს 25-სა შესრულდა მოსკოვს, პრესნას“.

შემდეგ არის ოთხ ტაეპიანი ლექსი:

ვსწერე ახალი ხელქმნანი უცხოთ შორთ ტომთა იმდენი
გექნვი ამით რად დამგმო მე ოდენ ვიტყვი იწვრთენი
ღეოგრაფიას მწვევ, რა უყო სრულად უწყენი
და ლერწმად იხმივე და აწით მოიგოესთენ ესგნი“.

ამ ლექსის ჩართულ-წერილობა ანუ კიდურწერილობა ეს არის: «ვახუშტიმ გარდმოიღე რუსულიდამ».

გარდა ამისა ამ წიგნს აქვს აგრეთვე წინასიტყვაობა და ხელით დახატული რუკები სხვა-და-სხვა ფერადებად; ეს რუკები ვახუშტისავე

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ *)

### IV

როგორც ზემოდაცა ვსთქვით, ჩვენ განსაკუთრებით წავედით იმიტომ, რომ გვენახა დიდებული გელათის ტაძარი და სხვა შესანიშნავი ადგილები. მშვენიერი დღე დაგვიდგა. დილით ეტლებით გავსწიეთ გელათისაკენ. ჩვენთან იყო ჩვენი მასპინძელი ყოვლად პატივცემული პატრი გორისა ანსელმო მღებრიშვილი, რომელიც იყო მიზეზი ჩვენის წასვლისა გელათის სანახავად და რომელმაც ერთობ დაგვავალა. დავადექით რაჭისაკენ მიმავალს გზას. თვალი იხიბლებოდა ბუნების სიმშვენიერითა და გული სიამოვნებდა კეთილ-შეზავებულის ჰაერით. ქუთაისის სიცხეებისაგან დათუთქვილებს მთის გრილი სიო გვიამა. გადავჭერით ტყიბულის რკინის გზა და ჩავედით წყალწითელაზე. აქ ჩვენს თვალს ნათლად და ცხადად წარმოუდგა დიდებული გელათი. გულმა ღელვა და სულმა შფოთვა იწყო. სული და გული გაჰქანდა ძველ დროსკენ, თითქო ჩადგა ძველს გმირებს შუა და მათთან ყოფნით დასტკბაო. წარმომიდგა, ვითომ აი აგერ, აი აქ, ამ წყალ-წითელას პირას სდგას დავით აღმაშენებლის ხელით ფენიქსებრ განახლებული „ივერი“; წარმომიდგა თვით მეფე-გოლიათი, ვხედავდი თითქო

მხედარ-მთავარსა უძლეველს,
გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-ჩაგონებით განჰსწავლულს,
ენა-მდინარე მეტყველსა!..

ვხედავდი თვით თამარ წყნარსა, პირმცინარსა, ხმა ნარნარსა. მაგრამ რა! გონება სწვდებოდა, თვალი-კი სწუხდა იმათს უხილველობასა. სული შეწუხდა და თვალთ ცრემლის გუბე მოსდგა. ამ დროს გაისმა ზარის ხმა, უნებლიედ მივაპყარით თვალნი ტაძარს, რომელმაც ნუგეშის სხივი ჩამიყენა გულში და ცრემლის გუბე უკუ შეაყენა. ამ ხმამ ზარისამ ნუგეშ მცა. შევუდექით შესამართს; ჩვენს ეტლს წამდაუწუმ გადმოუხტებოდნენ სოფლის გოგოები, რომელნიც საინით (თეფშით) თხილს მოარბენინებდნენ, გვაწოდებდნენ საინს. ჩვენც ძალ-უნებურად ვაჩერებდით ეტლს, ვართმევდით თხილსა და ფულს ვაძლევდით.

გაჩერდა ეტლი ჭიის კართან. შევიარეთ კარი და ჩვენს თვალს წარმოუდგა მშვენიერი, კარგა მოზდილი მოედანი, შემოსილი წმინდა და ხასხასა ბალახით. ამ მოედანზე, შუაგულს ალაგას, სდგას თვით დიდებული ტაძარი გელათისა, გარშემო შემომეწკრივებული აქვს შენობები, რომელშიაც კრებული სცხოვრებს, და პატარა-პატარა საყდრები თლილის ქვისა. გარედამ ისეთი შესახედი, ისეთი კოხტა და ლამაზი არ არის გელათის ტაძარი, როგორიც სხვა დიდებული ტაძრებია ჩვენში, მაგ. მცხეთისა, სამთავისისა, იკორთისა, ქუთაისში ბაგრატისა და სხვანი მრავალნი. მაგრამ შიგნიდამ არის კარგი; შიგ არის შეკრებილი ძველი ნივთები, ძველი ხატები; მის წიაღსა შინა განისვენებენ დიდი დავით აღმაშენებელი და დიდი თამარი, ბრწყინვალე ვარსკვლავი საქართველოსი, ბრწყინვალე და ძვირფასი დამამშვენებელი ქვა საქართველოს ისტორიისა.

პირველად თქვენს ყურადღებას იზიდავს უზარმაზარი ქვები, რომლებიც კედლებშია დატანებული. ერთი ქვა, რომელიც სამხრეთის მხრივ ატანია, სიგრძით ხუთი ადლია და 13 გოჯი, სიმაღლე ორ ადლ-ნახევარი. ამ ქვაზე აი რა გარდმოცემაა ხალხში დარჩენილი: ერთხელ დილით დავით აღმაშენებელი ჩავიდა ვითომ ქვემოდ, წყალ-წითელაზე, პირის დასაბანად. დაიბანა პირი და თვალი დაატანა მდინარის პირზე დიდს კლდესა. ამ დროს თურმე აშენებდა დიდებულს ტაძარსა, თავისს საუკუნო ძეგლს; მოეწონა კლდე, იღლიაში მოიგდო, ამოიტანა ზემოდ და თავისის ხელით დაუდო კედელსაო.

დიდის ეკკლესიის სამხრეთით არის პატარა საყდარი, სადაც განისვენებს გვამი დიდებულის მეფის დავითისა. ეს საყდარი ცოტა ვერ იყო სუფთად შენახული, მინგრეულ-მონგრეულა იქაურობა, საფლავის ქვა ჩეჩქითა და ნაგვით იყო სავსე; თვით ქვა ჟამთავითარებისა გამო ალაგ-ალაგ ამომტვრეულა, ასე რომ ზედ-წარწერა აღარა სჩანს. სიგრძე დავითის საფლავის ქვისა ხუთი ადლია, სიგანე ორი ადლია თითქმის. იქვე, საფლავის ახლო, კედელზე მიყუდებულია რკინის კარები, მოტანილი დავითისაგან დარუბანდიდამ; მეორე ნახევარი კარებისა დაუმტვრევიათ, თუ ლურსმებად ჩამოუსხმევინებიათ; ცოდოა ხელის შეხება იმისთანა ისტორიულის ნაშთისა, როგორიც ეს კარებია, რომელიც მოგვაგონებს შესანიშნავსა და თავ-განწირულს ბრძოლასა და გამარჯვებას დიდის მეფისასა! რა გაჭირება იყო ისეთი, რომელმაც აიძულა და დაამტვრევინა კარების ნახევარი.

ისტორია აღგვიწერს დავითს ერთობ სრულ, წარმოსადეგ და გოლიათ ადამიანად; ეს გაზვიადებული არ უნდა იყოს; იმისს ახოვანებას, იმისს გოლიათურს აგებულობას გვიმტკიცებს უზარმაზარი საფლავის ქვა, იმისი სურათი, რომელიც გელათშია დახატული და უფრო ცხადად და თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს იმისი ბეჭედი, რომელიც დაცულია გელათის სალაროში; ბეჭედი გასაოცრად დიდია; შუათანა ზომის თითი სამი ადვილად გავა შიგ, ე. ი. იმისი ერთი თითი სამის თითის სისქე ყოფილა. ბეჭედს ეტყობა, რომ ძალზედ ნაცვეთია, ხელზე ნაკეთებია.

რას არ ჰნახავს ადამიანი გელათის სალაროში!! ჩვენის ძველის დიდების ნიმუშები, რაც-კი ულმობელს ხელს გადარჩენია, სულ იქ არის თავმოყრილი: მეფის გვირგვინი, სხვა-და-სხვა შესამოსელი, ნაკერი ოქრომკედით, ძვირფასის ქვებით შემკული; ზედ გამოყვანილია წმინდანთა სახეები, ამოკერილი ისე სუფთად, ისე თვალსაჩინოდ და ხელოვნად, რომ მხატვარს კარანდაშით გაუჭირდება ისე სუფთად გამოყვანა. რა მხატვრობაა ძველი? შესანიშნავი მაცხოვრის სახეა და ვედრებისა ღვთის მშობლისა (ქუთაისის ბაგრატის ეკკლესიისაა); კედლებზე შესანიშნავნი მოღვაწენა არიან დახატულნი: თვით დავითი, ბაგრატი, არსენ იყალთოელი, მოძღვარი და საყვარელი კაცი დავითისა, ზაქარია ქვარიანი-კათოლიკოსი და სხვანი მრავალნი. შიგ გელათის ეკკლესიაში მარხია სოლომონ, მეფე იმერეთისა; ქვაზე აწერია: „აქა განისვენებს გვამი იმერეთის მეფისა დიდის სოლომონისა; დაიბადა 1735 წ. და მიიცვალა 1782 წ., ჰყავდა ერთი ვაჟი ალექსანდრე და ორი ასული: მარიამ, მეუღლე ქსნის ერისთავის ელიზბარისა, და დარეჯან, მეუღლე თ. ქაიხ. აბაშიძისა».

შესანიშნავს ხატებს ხომ რიცხვი არა აქვს; მთელის საქართველოს ძველი, ძვირფასის ქვებით შემკული ხატები აქ არის დაცული. შესანიშნავს ხატ თა შორის ჩამოვთვ

*) იხ. „ივერია“ № 202.

ხელით არის ზედ-წარწერილი: 1) სფერო (полушаріи), 2) ევროპა პოლიტიკური კარტა, 3) პორთუღალია და გიშპანია, 4) ფრანცია, 5) დიდი ბრიტანია, 6) იტალია, 7) შვიცარია, 8) ღერმანია, 9) გალანდია, 10) დანიის სამეფო და ღოლსთიის სამთავრო (Голштинія), 11) ნორვეგია, შვეცია და დანია, 12) პოლშა და პრუსია, 13) ვენგრია და საბერძნეთი, 14) ასია (Азія), 15) თურქის-ასიის წილი (Турецкая Азія), 16) სამეფო სპარსეთისა და ბალხი-ბუხარა (ორი), 17) ინდოეთი მოღოლის სამფლობელო, 18) კიტაი ანუ ჩინეთი, 19) ქვეყანა დიდი მოღოლისა (Индо-китай), 20) ჰალაკნი (Архипелагъ), 21) აფრიკა, 22) ამერიკა ჩრდილოეთისა, 23) ამერიკა სამხრეთისა, 24) რუსეთის კარტა პირველის წილისა, 25) რუსეთის სახელმწიფოს პირველი წილი, 26) რუსეთის სახელმწიფოს მეორე წილი.

*** ტფილისში, რეალურის გიმნაზიის ახლო, ვიღაც შულცეს ჩამოუტანია ისტორიული მუზეი. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ეს მუზეი დაგვეთვალიერებინა და უნდა ვსთქვათ, რომ ამ მუზეიში ბევრი საყურადღებო რამ იპოვება. საყურადღებოა, სხვათა შორის, სანთლის სახეები გამოჩენილის კაცებისა: ნაპოლეონ პირველისა და მესამესი, მარია ანტუანეტისა, მარია სტუარტისა, ბავარიის მეფე ლუდვიგ II-სა და დედოფლის ელისაბედისა. საინტერესოა, სხვათა შორის, სანთლის გაკეთებული კაცი, რომელიც ხმალს იჩრის პირში. ასეთი კაცები ჩვენს ტფილისშიაც არა ერთს ენახვება, რადგან ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ შარშან. მაშინ ყველა ამბობდა, რომ თვალთ-მაქცობააო, მაგ სიგრძე ხმალს პირში როგორ ჩაიდებს ადამიანიო. მუზეიში სანთლის კაცს ხმალი პირში უდევს და წინა მკერდი, გულის ფიცარი აცლილი აქვს, ასე რომ მნახველი ადვილადა რწმუნდება, რომ ხმლის პირში ჩადება მართლა შესაძლებელი ყოფილა და ხმალი ისე ჩადის ადამიანის შიგნეულობაში, რომ არაფერს აზიანებს. კარგი სანახავია აგრეთვე ცოცხალის ქალის თავი ჰაერში. რაღაც მანქანაა, რომელშიაც დედაკაცი ისე იმალება, რომ თავის მეტი აღარა უჩანს-რა და შორიდგან-კი ძნელი მოსაფიქრებელია, თუ ტანი სად უნდა ჰქონდესო.

*** სოფ. ლიხეთიდგან (რაჭა) გვწერენ, რომ ამას წინად იქ ერთს დედაკაცს ქმრის მოშორება მოუნდომებია, ამიტომ საბრალო კაცისათვის საწამლავი დაულევინებია და საწადელიც აღსრულებია.

*** იქიდამვე შემოგვჩივიან, რომ რაჭაში თანდათან ვრცელდება ერთმანეთის ცეცხლით გადაწვა მტრობითაო. ამას წინად სოფ. ახალსოფელში ხოტეველს მამასახლისს ვიღაცა ბოროტმა კაცმა მარანი დაუწვაო.

*** გზათა მინისტრი გენერალ-ადიუტანტი პოსიეტი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისს, როგორც გაზეთი „კავკასი“ გვატყობინებს, წასულა საგანგებო მატარებლით ხაშურში; აქედგან მინისტრი წავა წიფას, სადაც დაათვალიერებს სურამის გვირაბსა და შემდეგ დაბრუნდება ტფილისს. ბ-ნს მინისტრს თან წაჰყვნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ინსპექტორი ბ-ნი სტატკოვსკი, გზის მმართველი ბ-ნი პრესნიაკოვი და სხვანი.

*** „მშაკს“ სწერენ ახალ-ნახჩევნიდგან, რომ იქიდგან სომხის პოეტს რაფაელ პატკანიანს (ფსევდონიმით გამარ ქათიბას) გამოუგზავნია სომხთ კათოლიკოსისათვის უმთავრესი და ძვირფასი საჩუქრები, რომელიც პატკანიანმა მიიღო თავისის 35 წლის იუბილეის დღეს. პოეტს ეს საჩუქრები ეჩმიაძინის მონასტრის წიგნთ-საცავისათვის შეუწირავს.

*** როგორცა სწერენ გაზეთებში, მისი უწმინდესობა სომეხთა კათოლიკოსი ეჩმიაძინს წასვლამდე მიბძანდება ბაქოს.

---

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მოვიყვანთ მოკლედ გობლეს სიტყვას, რომელიც მხოლოდ ამ დღეებში დაიბეჭდა ერთს რუსულს გაზეთში:

„ძვირფასნო მოქალაქენო! — უთხრა 18 სექტემბერს გარეშე საქმეთა მინისტრმა თავისს მსმენელებს: — მართალია, სიხარულით შიმიღეთ და გულითა და სულით მომეგებენით, მაგრამ მაინც ცოტა არ იყოს გული მტკივა, რომ თქვენ შორისა ვარ. შარშანაც ვიყავი თქვენ შორის. მაშინ ისვის იყო სამინისტრო ახალი გადამდგარი იყო და მეცა და ჩემი მეგობარი ლოკრუაც აღარ გახლდით მინისტრებად. არ ვიცი სამართლიანად მოგვექეცით, თუ უსამართლოდ, რომ გადაგვაყენეთ სამსახურიდამ. ეს-კია, რომ მაშინ საიმისო გაჭირება არა დაგვდგომია-რა: გარედ იყო და ის მოვიხერხეთ, რომ პატივისცემით გვექცეოდნენ და მშვიდობიანობას არავინ ემუქრებოდა; შინ იყო და ყველა არჩევანებს სარესპუბლიკო ხასიათი ეტყობოდა. ყველგან ასე იყო: პადეკალესა და ლამანშისკენ, ავეირონსა და პირინეებისკენ. ასე იყო თუ ისე, ჩვენ გადაგვაყენეს იმ საბაბით, რომ ვითომ საკმაო საფინანსო რეფორმები არ მოგვიხერხეთ. არც-კი მას უკან მოუხდენიათ აუარებელი საფინანსო რეფორმები! მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ნუ მოვიგონებთ ამ ხანად სამწუხარო ამბებს წარსულის წლის დამლევისას. ამ ზაფხულის დამდეგს ცოტაოდენი იმედი მომეცა. დარწმუნებული ვიყავ, რომ ახალს არჩევანებზე რესპუბლიკელები გაიმარჯვებდით. მაგრამ ეხლა ველარ დავმალავ, რომ გული მიჩქროლავს და რწმენა ჩემი შერყეულია. მოღვაწესათვის საქმე ის-კი არ არის, რომ მთავრობაში ჰქონდეს ალაგი და იქ იჯდეს მაგრად; საქმე ის არის, რომ ჰხედავდეს იმ იდეის, იმ საქმის წარმატებას, რომელსაც ემსახურება.

წარმოიდგინეთ, რომ გუშინ, სწორედ გუშინ მოხდა უცნაური არჩევანი ერთად სამს დეპარტამენტში, არჩევანი იმდენად მოულოდნელი, საოცარი და საშიში მერმისისათვის, რომ ძალაუნებურად კაცი შეკრთება, თუ მართლა იმ არჩევანში გამოითქვა ხმა ერისა. მე ამით არ მინდა საწყენი რამ ვსთქვა გენერალ ბულანჟესათვის, თუმცა თვითონ გენერალი არავის არა ჰზოგავს, არც პალატებს და არც თვით თავისს ამხანაგებს. მე იმისი მომხრე და ერთგული ვიყავ, როცა ჩემთან ერთად ისიც მინისტრად იჯდა. მაგრამ ეს გარემოება მე არ მიშლის, რომ დღეს იმისი შეურიგებელი მტერი ვიყო. და უნდა იცოდეს კიდეც, რომ იქნება ჩემზე მოსისხლე მტერი არცა ჰყავს სხვა, თუმცა ოდესმე იმისი მხარე მეჭირა ხოლმე. აგიხსნით, რა არის ამისი მიზეზი. მიზეზი ის არის, რომ ამ კაცმა, რომელიც გენერალია, მინისტრად იყო, მხედართ მთავარი ბრძანდებოდა ერთს დროს და რომელიც დისციპლინის დარღვევისათვის ამოშლილ იქმნა ჯართა სიიდამ, დღეს წაავლო ხელი საშინელსა და მომაკვდინებელს საქმეს. ჩვენს უიმისოდაც განცალკევებულს ქვეყანაში მან ჩამოაგდო კიდევ ახალი შფოთი და არეულობა და ამ შფოთსა და არეულობას მისცა ახალი სახელიცა: ბულანჟეობა. შფოთი ჩამოაგდო სწორედ. თუ არ შფოთი, მაშ რა არის ის საქმე, რომელსაც არც დასის სახელი მიეცემა, არც პროგრამის წარმოდგენა ჰქვიან. ამ საქმეში იდეის სამსახური-კი არ არის პირველი, მხოლოდ კერძო თავ-მოყვარეობაა. დასი არ დაერქმის იმათს კავშირს, იმიტომ-რომ, მართალია, რესპუბლიკის სახელს ახსენებენ კიდევ, მაგრამ ყველამ იცის, ვინც მოსდევს იმათ უკან: მოსდევენ უკან მონარქიის მომხრენი, რეაქციონერები, ბონაპარტელები. არც პროგრამმა აქვსთ. მართლა ის ხომ არ არის საკმაო, რომ იძახონ, კონსტიტუცია უნდა გადისინჯოსო. ამას ხომ ბევრი ჭეშმარიტი რესპუბლიკელიც ითხოვს. ან ის იძახონ, რომ პალატა დაიშალოსო. ეს რა პროგრამაა მთავრობისა! არც თქვენ და არც მე არ ვიცით, რას ჰფიქრობს გენერალი ბულანჟე ან სიშინაო და ან საგარეო პოლიტიკის გამო, რა გზას ადგია საფინანსო, საეკონომიო, სარელიგიო, საადმინისტრაციო და სხვა საგნების შესახებ. ბულანჟეს სულითა და გულით მხოლოდ ის უნდა, რომ უმეტესობა მიიმხროს და რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოიჭიმოს. მაგრამ ეს ადგილი უკვე დაჭერილია და კარგადაც არის დაჭერილი. არა მგონია, რომ ქვეყანას აწუხებდეს ის პატიოსანი კაცი, რომელიც თვით აირჩია ამ რამდენისამე თთვის წინად, რომელსაც დიდის ამბით მიეგებება ხოლმე ყველგან და რომელიც ისე უყვარს ერს. სად მიგვიყვანს მაშ პოლიტიკა ბულანჟეს არჩევისა პრეზიდენტად, თუ არ იმ კიდურზე, საიდამაც იმდენს განსაცდელში ჩავცვივდით ძველად და საცა ყოფნა კვლავ დიდი ჭირი იქმნება ქვეყნისათვის 1870 წლის შემდეგ?

---

ლი შემდეგთ: ა) ხახულის ღვთის-მშობელი, რომელიც ყველაზედ დიდია, რამდენადაც მახსოვს, და მთლად ძვირფასის თვალ-მარგალიტით, პატიოსანის ქვებით არის მოკირწყლული; ბ) აწყურ'ის ღვთის-მშობელი, მოტანილი საქართველოში ანდრია მოციქულ პირველ-წოდებულისაგან; გ) თვით გელათის ღვთის-მშობელი; დ) მაცხოვრის ხატი, რომელიც შესანიშნავი მხატვრობაა; ადამიანი რომ უცქერის, აღარ უნდა თვალი მოაშოროს; ე) ვედრებისა ღვთის-მშობელი, გადმოტანილი ქუთაისიდამ, ბაგრატის ეკკლესიიდამ; ვ) წმინდა გიორგის ხატი, შესანიშნავი იმითი, რომ ხელთ უპყრია ხმალი და ჯვარი შუბის მაგიერ, ფეხთით გართხობილი კაცი და ხმალი უძევს; ზ) ბიჭვინტის ღვთის-მშობელი და სხვანი მრავალნი.

ბევრი რამ ძვირფასი ნივთები ყოფილა, მაგრამ დაუნდობელს ხელს გაუზიდნია; მწუხარებით გვიამბო ეს ამბავი იმ ბერმა, რომელიც მნახველი ყოფილა იმ ძვირფასის ნივთებისა. საბრალოს გული აემღვრა, ცრემლი მოადგა თვალებში და სიტყვის თქმა უძნელდებოდა. უნდა ვსთქვა, რომ დანაშაულად ჩაეთვლება ქართველს კაცს იმისი უნახველობა; იგი ყოველის ფრით მდიდრად შემკობილია: ბუნებით, ჰავით, წყაროთი, მდებარეობით, ძველის ნაშთებით; იგი მუდამ გვილაღადებს:

> აქ დაბლა მე ვარ მოწამე და იქ მაღლა ცა,
> როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა.
> ჩემსა წიაღში განისვენებს დიდი თამარი...
> ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული.
> აქ განისვენებს... მის სახელი — დიდი დავითი.
> მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ გელათი.

მნახველს ამისთანა დიდებულის ძეგლისას უნებლიედ გული სიხარულით ევსება, თითქოს შენს თვალშივე იზრდება, აღმაჰკრეხს, ამაყობს ძველის დიდებით, ძველის ძლიერებით, ძველის გმირებით, რომელთა მეოხებით საქართველომ მეცხრამეტე საუკუნის კარამდე ცოცხლივ მოაღწია... მაგრამ გახარებული გული უცბად გიკმუნდება, როცა წარმოიდგენ...

მაგრამ ეჰ, სჯობს აქ წერტილი დავსვათ და ჩვენ ისევ ჩვენი განვაგრძოთ.

**

გელათიდამ ჩვენ შევიარეთ მოწამეთის მონასტერში, რომელიც მართლა სამონასტრო ადგილას არის აშენებული. მონასტერი გადაჰყურებს წყალ-წითელას; სდგას სალს კლდეზე, გარშემო კლდეები აქვს და გაღმითაც კლდიან-ტყიანი მთა უდევს. საყდრის მხატვრობა ახალია; ეკკლესიას ძველი აღარა შერჩენია-რა დავით და კონსტანტინეს კუბოს მეტი. რამდენადაც დიდებულია გელათი, იმდენად გულსაკლავია მოწამეთის ნახვა; რამდენადაც დატვირთული გამოსდიხართ გელათიდამ სხვა-და-სხვა აზრებითა და ფიქრებით, იმდენად ცა'იელდებით მოწამეთის მნახველი: რა უცნაური მხატვრობაა! ღმერთო ჩემო! რომ ჩაასტერდები, თითქოს ნაცნობი სახეებია დახატულიო. მერე ისეთის წმინდანების სახეებია დახატული, რომლების სურათებიც არა ეკკლესიაში არ მინახავს, წმინდანნი: ნესტორ, პელაგია, ევსევი და სხვა ამ გვარები. ეს მხატვრობა ახალია; ეკკლესიის გადაკეთების შემდეგ რომელღაც თავ-აგდებულს მხატვარს გაუთუთხნია კედლები და ეკკლესია შიგნიდამ სრულიად დაუმახინჯებია. მე გაგონილი მქონდა და გაგონილს ცოტა არ არის სიმართლე მიუძღვის, რომ სახეები წმინდანებისა ნესტორ, პელაგია, ევსევისა და სხვათა მხატვარმა ამსგავსა ამ წმიდათა მოსახელეებსა, რომელნიც ერთს დროს ძალიან პარპაშებდნენ და აწ კი განისვენებენ წიაღთა შინა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისათა.

ხალხის თქმით აი რა იყო მიზეზი ამ ალაგას მონასტრის აშენებისა: დავით და კონსტანტინე, ეს ორი შესანიშნავი გმირი, სამშობლოს დაცვისათვის დახოცილნი, იპოვნა თურმე რიონის პირას გამორიყულნი ერთმა კაცმა, დაუდვა ეტლზე, შეაბა შიგ ხამი მოზვრები და მიანება თავი; მოზვრებმა გამოაქანეს წმინდა გვამები არგვეთის მთავრებისა და მოაყენეს ამ ცხვირ-წაწვეტებულს ქედს, რომელსაც სამის კუთხით უფსკრული აქვს. აქ დაფუძნდა მონასტერი. როდესაც მოჰქონდათ წმინდა გვამნი, წვეთ-წვეთად იღვრებოდა სისხლი და სიპს კლდეზედ ეცემოდა; სისხლი წმიდათა ვითომ კლდეს დააჩნდა, რადგანაც ადამიანის სისხლი რასაც დაეცემაო, აღარ წაიშლებაო, ისე დააჩნდება ზედაო. რომ მივდიოდით, გვიჩვენებდნენ წითელს ალაგებს კლდეებზე; ეს სიწითლე ალაგ-ალაგ ფოლაქივით აჩნევია კლდეებს. როცა მოდიოდნენ ჩვენი თანამგზავრნი, მოწიწებით და მორიდებით მოდიოდნენ, სცდილობდნენ ფეხი არ მოეხვედრებინათ წითელ ფოლაქებისათვის. ჩვენ გვსუროდა, რომ გვენახა უხრწნელნი გვამნი დავით და კონსტანტინესი, მაგრამ წინამძღვარმა არ ინება; სთქვა, რომ არ შეიძლება, თუ მღვდელ-მთავრის ნება-რთვა არ გვექმნებათო. ამან ძალიან დაგვაჭმუნა, მაგრამ რა გაეწყობოდა. წამოვედით, მაგრამ გული სულ გელათისაკენ იზიდებოდა. მართლა უთქვამს პოეტს გელათზე, რომლის სიტყვებით მსურს ამ შენიშვნების გათავება:

> მისი შვენება ედემისა არის შვენება;
> იმის შვენების მოშორება თვალს ენანება.
> თვალს მოაშორებთ, თქვენი გული იმისკენვე რბის,
> იმის კვლავ ნახვას სიხარულით გული მოელის...

ს. გუმცაძე

---

### ბიბო-ლოლო

(ანრი კონტისა)

— მობრძანდით, ბატონებო! მობრძანდით, ქალბატონებო და ჰნახეთ საკვირველი, საოცარი წარმოდგენა! ბიბი-ლოლომ თვალთმაქცობა არ იცის, ბიბი ლოლო ცრუ და გაიძვერა არ არის: ბიბი-ლოლოს არ უყვარს, რომ ხალხს თვალს უბამდეს, არ უყვარს, რომ ორ-თავიანსა და ქონდრის კაცებს უჩვენებდეს. არა, მოწყალენო ხელმწიფენო, ბიბი-ლოლო უბრალო სიკვდილის შვილია. მე და ჩემი ამხანაგები ყველაფერს ჩვენის საკუთარის ღონით ვახერხებთ, უმანქანებოდ, უთვალთმაქცობოდ. თუ ვართ რამე, ჩვენის ღონითა ვართ, ჩვენის მოხერხებით, ჩვენის ყოჩაღობით. მაგრამ სჯობს, რომ ჩვენი ხელოვნობა გაჩვენოთ ეხლავე.

— წი... წი... წი... წიუ... ასე არა გალობენ თქვენი ლამაზი იადონები? გსურთ მოისმინოთ, როგორ გალობენ ფრინველნი ველისა და ტყისანი? ინებეთ: აი ასე გალობს თქვენი ნიბლია ჩიტი, ჰვინტა, ტოროლა.

— თუ ძაღლი არა გყავსთ, ისე გასწავლით იმისებურს ყეფას, რომ გამოცდილი ქურდიც-კი მოსტყუვდეს... რაცა გნებავსთ, იმას მოახერხებს ბიბი-ლოლო: ლომის ღრიალს, კატის კნავილს, გველის სისინს; ტყუილად ხომ არა აქვს მოვლილი დედამიწის ზურგი. რომელიც გინდათ პირუტყვი დაასახელეთ, სადაურიც გინდათ და ისე გავაჯავრებ, რომ მოგეწონოთ...

— აბა, ჰა ბატონებო! გულით, მიბრძანეთ რაც გნებავთ. მაგრამ იქნება თავი მოგაბეზრათ კიდეც ამისთანებმა? მაშ იქნება მუსიკის მოსმენა გსურდეთ? აბა, რა? მარში, არია, სიმღერა, თუ რა? ყველაფერი შეგვიძლიან, თუ ქალბატონი ირმა ბილბოკეტა ცოცხალია და დიდი მესალამურე გრიგულიარი კარგადა მყავს. იქნება, ბატონო, თქვენ, აიქ შორს რომ ბრძანდებით ხალხში, არია გნებავთ? იყავ

„მაშ რა არის მიზეზი, რომ ამ კაცის კანდიდატობამ 76,000 კაცის ხმა ერთად შეაერთა. ამათში 51,000 რეაქციონერია, ვსთქვათ, მაგრამ როგორ მოხდა, რომ 25,000 რესპუბლიკელიც იმას მიემხრო? აი ეს არის ფრიად სამწუხარო, ეს არის გულ-სატკენი! კონსერვატორებიცა, რომელნიც უნდა წმინდად იცავდნენ დღევანდელს წეს-წყობილებას, და რესპუბლიკელნიც ერთად შეერთდნენ ისეთის კაცის ასარჩევად, რომელიც რევოლიუციის მომასწავებელია მხოლოდ და რომელიც უფსკრულში უპირობს ჩაგდებას მრავალ-ტანჯულს ჩვენს ქვეყანასა. უნდა გავიგოთ ამისი მიზეზი, რომ ავიცილოთ თავიდამ ასეთი სამწუხარო და სავალალო ყოფა.

„იმას ვერ იტყვიან რესპუბლიკელები, რომ თუ ჩვენ კენჭს ვაძლევთ ბულანჟეს, მაშასადამე რესპულიკას ვაძლევთ მხარსაო. ეხლა ყველაფერი გამოცხადდა და ამისთანა თავის გამართლება აღარ შეიძლება. იმას მომხრეთა უმეტესობა რესპუბლიკის ნამდვილი მტრები არიან. პალატაში ბულანჟემ ვერა გააწყო-რა. იმას აქებენ და ადიდებენ მხოლოდ მონარქიის მომხრენი, ნამდვილი ბონაპარტელები. აქებენ და ადიდებენ იმიტომ-კი არა, რომ მართლა გაიმარჯვოს ბულანჟემ საბოლოვოდ, არამედ იმიტომ, რომ ბულანჟე კარგ იარაღად მიაჩნიათ რესპუბლიკის დასარღვევად. ზოგიერთნი რესპუბლიკელნი კიდევ იმას ამბობენ, რომ ბულანჟეს ვაძლევთ კენჭს, რადგანაც ვემდურებით დღევანდელს ჩვენს ყოფასა და გვინდა ამ უსიამოვნო ყოფას თავი დავახწიოთო. აბა ერთი ვკითხოთ ამათ, რას ემდურებიან სახელდობრ? აი თუნდ ამ ჩვენს სომის დეპარტამენტში რას უნდა ვემდურებოდეთ მთავრობას. ჩვენი ქვეყანა სომისა განსაკუთრებით ხვნა-თესვას, მეურნეობას მისდევს. მერე მეურნეობისათვის რომელმა მთავრობამ გააკეთა იმდენი, რაც რესპუბლიკამ. ვინ იზრუნა, ვინ დააწესა იმისთვის სასარგებლო კანონები, თუ არ რესპუბლიკამ. იტყვით, რომ გლეხ-კაცობაა უკმაყოფილოვო. მერე ხომ მათთვისაც იყო სასარგებლო ის კანონები, რომელზედაც წეღან ვლაპარაკობდი. და თუ სასარგებლოა, მაშ რაღად იქცევიან უცნაურად. ორ კანდიდატში ირჩევენ იმას-კი არა, ვინც იცის რა არის ხვნა-თესვა, მეურნეობა, ვინც გამოცდილია ამ საქმეში, ვინც თავად მონაწილეობას იღებდა, რომ მეურნეობისათვის სასარგებლო კანონები დაწესებულიყო, არამედ გენერალ ბულანჟეს. მე თქვენა გკითხავთ განა კეთილ-გონიერებაა ესა? განა უცნაური და გაუგებარი საქციელი არ არის ასეთი საქციელი?! ხან ვის მივმართე მერე ამ არჩევნებს შემდეგ, ხან ვისა: ვეკითხებოდი, ამიხსენით, რა არის ყოველ ამისი მიზეზი-მეთქი, რად ემდურიან მთავრობას ჩვენის ქვეყნის მკვიდრნი, ჩვენი გლეხ-კაცობა-მეთქი. ზოგმა რა მიზეზი დამისახელა და ზოგმა რა. აიო, მოხელეები ბევრს ჯამაგირს იღებენ და ეს უმღვრევს გულს გლეხ-კაცობასაო. აიო, მასწავლებლებს ცოტა ჯამაგირი აქვსთო, ან არადა: მასწავლებლები მეტად დიდს ჯამაგირს იღებენო. ესე ამ ნაირი პასუხები მივიღე. მოხელეების სიბევრეზე მეც მიფიქრია და აგრეთვე მათ ჯამაგირების შესახებაც. მინდოდა კიდეც შემემცირებინა სუპრეფექტების რიცხვი და 60 კაცი გამომეკლო. მაგრამ იცით, რა ვაი-ვაგლახი ასტეხა ამ ჩემმა სურვილმა? ერთს მინისტრსაც უნდოდა ამ გვარი საქმეები გაეკეთებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ჰელრე-კი, თუმცა იმასაც ხელს უშლიან, ახერხებს ამას და ძალიან კარგადაც იქცევა, მაგრამ ეს არაფერი. ამაზედ მეტი საბუთი რომ არა იყოს-რა სამდურავისა, თქვენი მტერი, მაშინ ვიტყოდით, რომ ქვეყანამ არც-კი იცის, რა უნდაო.

„არა, სამდურავი სხვაც არის. მე ვამბობ რესპუბლიკელების სამდურავზე. იმათი სამდურავი სახეში არ არის მისაღები, ვინც საზოგადოდ უარჰყოფს რესპუბლიკას და უკმაყოფილოა მხოლოდ იმისათვის, რესპუბლიკა რად არის საფრანგეთში და არა მონარქიაო. დიაღ, რესპუბლიკელებს, რასაკვირველია, შეუძლიანთ დაემდურონ მთავრობას, თუ რომ საჭირო კანონებს მსვლელობა არ ეძლევა დროზედ, თუ პალატას მოქმედება არ ეშესაბამება ქვეყნის სურვილისა და საჭიროებასა. შეუძლიანთ სამდურავი გამოაცხადონ, რომ მთავრობა მალ-მალე იცვლება, ერთს სამინისტროს მეორე სამინისტრო მოსდევს და ამ ხშირის ცვლილების გამო შეფერხებულია საკანონ-მდებლო მოღვაწეობა მთავრობისაო. ყველა ეს მართალია, მაგრამ ვისი ბრალია? ისევ თქვენი, ამომრჩევლებისა. ისეთს ხალხს ირჩევთ დეპუტატებად, რომ ხში რად არავითარი ღონე არ არის უმრავლესობა შესდგეს ისეთი, რომელიც მხარს აძლევდეს მთავრობას და ეხმარებოდეს იმისს მოღვაწეობას. აი ეს არის დიდი უბედურება, დიდი სენი, დიდი ბოროტება. საჭიროა, რომ ამ სენის ასახოცად ვიღონოთ რამე. განა რა ღონეა ის ღონე, რომელსაც მიჰმართეს უკმაყოფილო რესპუბლიკელებმა? იმათ შეუდგენიათ ცალკე დასი უკმაყოფილებისა და თავი მოუყრიათ ბულანჟეს გარშემო. რა თქმა უნდა, რომ უკმაყოფილება, სამდურავი არც დოქტრინაა, არც პროგრამაა მოღვაწეობისა; სულ დიდი-დიდი,—სამდურავი და უკმაყოფილება დროშაა ოპოზიციისა და შფოთისა. იგი დროშა შეაერთებს და შეაქუჩებს ხალხს მხოლოდ იმიტომ-რომ დაარღვიოს რამე და არა ააშენოს, გააკეთოს. რამდენია ამისი მაგალითები ისტორიაში. მაგისთანა უკმაყოფილებას, სამდურავს და მოქმედებას, ჯიბრში ჩადგომას მოსდევს მუდამ არეულობა, ამბოხება, უწესოება, დიქტატურა, სამოქალაქო ომი და ხან მტრის შემოსევა და თავ-დასხმაცა. რაკი მტრის შემოსევაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ნება მომეცით ვსთქვა, რომ როცა მთავრობას ფეხი მაგრა არა აქვს, სხვა სახელმწიფონიც პატივისცემით არ მოეკიდებიან ჩვენს ქვეყანას. ისინი იფიქრებენ, რა პატივისცემის ღირსია ის მთავრობა და ის ქვეყანა, საცა, ვინ იცის, ხვალ რა არეულობა არ მოხდებაო. ნუ დამემდურებით, ძვირფასნო თანამემამულენო, რომ ასეთი სამწუხარო სურათი გადაგიშალეთ თვალ წინ. თუ საერთო კენჭის ყრითა და ხმის მოკრეფით ქვეყანა მე მენდობა, მეც უნდა მართალი ვუთხრა მეკენჭეებს და ავუხსნა, რა მოსდევს ასე თუ ისე კენჭის მოხმარებას. მეკენჭეები ბავშვები არ არიან: უნდა იცოდნენ რას სჩადიან.

„ვაფრთხილებთ ამომრჩევლებსა და მეკენჭეებს, ამიტომ-რომ საშიშს გზას ადგიან. ნუ იფიქრებთ-კი, რომ მე იმედი მქონდეს დაკარგული და გავლახრებულიყო. მე ძველი რესპუბლიკელი ვარ 1848 წლისა. მუდამ მრწამდა და არც ეხლა დავკარგავ ამ რწმენას. 20 წელიწადია პოლიტიკაში ვიღებ მონაწილეობას თქვენის კენჭების წყალობით და ეხლა რომ უკან დავიხიო, სირცხვილი იქნება ჩემთვის. ბევრი უარესი გაჭირება მინახავს, უარესი განსაცდელი დამდგომია მეცა და ქვეყანასაც, მაგრამ არ დამიკარგავს იმედი, რომ რესპუბლიკა ფრიად საჭიროა და გამარჯვება ბოლოს მაინც იმისია და იმისი. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ქვეყანას ავაშოროთ ახალი განსაცდელი.

„თუ ამომრჩევლები ემდურებიან თავიანთს ამორჩეულებს, ვინ უშლით, რომ სხვები ამოირჩიონ. ოღონდ ამოირჩიონ არა მეამბოხენი, არა რეაქციონერები, არამედ მომხრენი წესიერებისანი.

„წარმოიდგინეთ, რომ ქვეყანა აღფრთოვანდა იმ გრძნობებით, რომელიც შეეფერება თავისუფალს ერს და საგნად დაუსახავს გაასწოროს, რაც გასასწორებელია, აარჩიოს, ვინც ღირსია არჩევანისა. წარმოიდგინეთ, რომ ერმა გაჰგზავნა პალატაში ისეთი დეპუტატები, რომელნიც ჰფიქრობენ კონსტიტუციის განკარგებასა და საპარლამენტო დაწესებულებათა დაცვასა; წარმოიდგინეთ ყოველივე ეს და განსაჯეთ, რა დიდს სარგებლობას შესძლენის ასეთი არჩევანები მშვიდობიანობას, კეთილდღეობასა და დიდებას საფრანგეთისას? მაშ, ძვირფასნო თანამემამულენო, უნდა ორში ერთი აეირჩიოთ. ერთხელ კიდევ ბედი ჩვენი ჩვენთავე ხელთ არის. აბა რას აეირჩევთ? რეაქციასა და მის უბედურებასა, თუ რესპუბლიკას, მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის მოყვარესა. არ დავივიწყოთ, რომ დიდება საფრანგეთისა ჩვენზეა დამოკიდებული“...

◆◆

## წვრილი ამბები

მთელი ლონდონი ამ ჟამად დრტვინავს, აღშფოთებულია. წარსულს თვეში ოთხი თუ ხუთი ქალი იპოვნეს მოკლული, ისეთი, რომლის გაცარცვით მოკვლა ფიქრად მოსატანი არ არის, რადგან უოვლად ღარიბნი იყვნენ. მესკვრელთ გულ-მკერდი გაჭრილი აქვსთ თურმე და

---

ნება თქვენი! სმენა იყოს და გაგონება, მეგობრებო!

ბიბი-ლოლო ათამაშებდა ტუჩებს, აალობდა თითებს, ფეხებს, ვითომ კლარნეტზე ვუკრავ, ან სკრიპკაზეო და დიდის ოსტატობით, საოცარის ხელოვნებით ამბობდა მართლა რომელსამე არიას და თან იშველიებდა ირმა ბილბოკეტას და ბიძია გრიგულიარის სალამურს.

ასტყდა ხმაურობა და ძახილი: «ბრავო», «ბის». თითო-ოროლა შევიდა კიდეც ბიბი-ლოლოს ფარდულში. ბედმა გაუღიმა ბიბი-ლოლოს. იმ თითო-ოროლას მიჰყვნენ სხვებიც ცხვრებივითა და გაავსეს კარავივით გამართული ფარდული. ხუმარამ კვლავ განაგრძო თავისი მასხარაობა: მოსწრებულს სიტყვა-პასუხს ჩიჩქივით აყრიდა ბიბილოლო და აცინებდა ხალხს. რაკი გული დააჯერა, რომ ახლა-კი ხალხი ბლომად მოგროვდა და ჩემი საქმე შაჰს დაჯდაო, ანიშნა ირმასა და გრიგულიარსა: თქვენ აქ იყავით, დაუკარით, რასაც უკრავდით, მე-კი წავალ და ბავშვს მივხედავო. ბიბი-ლოლო შეხტა, შეკუნტრუშდა, ყირამალა გადატრიალდა, რაღაც გაიმასხარავა და სიცილ-ხარხარით მიიმალა კულისებში. ერთხელ-ორჯელ გადახტა და გაჩნდა იმ დიდ ჩარდახიან ურემ წინ, რომელშიაც ბარგი ჰქონდათ და თითონაც შიგა რჩებოდნენ ბინას. საჩქაროზედ შეაღო კარი და აკანკალებულის ხმით, შემკრთალის სახით ჰკითხა დედაკაცს, რომელსაც ცირკის ტანისამოსი ეცვა:

— როგორ არის, ჰა? მითხარ, თუ ღმერთი გწამს.

დედაკაცმა პასუხი არ გასცა; იმისი განწირული, მწარედ დაღონებული სახე უსიტყვოდაც ცხადად ამბობდა, რა ამბავიც იყო იმათ საცოდავს ბინაზედ. ბიბი-ლოლო მივიდა თავისს ყმაწვილთან ფრთხილად და დააცქერდა იმისს გალურჯებულს სახეს. თვალები აჰრეოდა, პატარა ბაგენი გაჰპობოდა და დიდის გაჭირებით ჰსუნთქავდა. ერთი მკლავი მოუძლურებოდა და ისე ეკიდა, თითქო მოწყვეტილიაო... მამა დაეწოდა პაწაწინა ხელს, დაეკონა ზედ ტუჩებით და მერე ისევ ფრთხილად დასდო ლოგინზე.

საცოდავი მამა დიდხანს დაჰყურებდა უბედურს თავისს შვილს. იმისს ფერუმარილით ნაკეთებს სახეს გამოუთქმელი მწუხარება ეტყობოდა, მასხარას ტანისამოსით-ღა თუ მიხვდებოდით, რომ ეს მწუხარე ადამიანი წეღანდელი მხიარული, მოსწრებულის სიტყვა-პასუხის კაციაო. ბიბი-ლოლო გასწორდა წელში და ჰკითხა თავისს ცოლს.

— ტიროდა? ჰკვნესოდა?

— არა, თავი აღარა აქვს,—უპასუხა ცოლმა და დაიწყო ქვითინი.

— კარგია, მარი, ნუ გადაიწყვეტავ იმედს. დღეს ფულს ბლომად ავიღებთ და ყველაფერი ვუყიდოთ, რაც საჭიროა. დამშვიდდი, საღამოზე კარგად შეიქნება. ჩვენი ფარდული სავსეა ხალხით. ძალიან თანხები დავუწყე და ბლომად შემოვიტყუე. ახლა შენი რიგია. არ იქნება, რომ ორივენი აქ ვიყვნეთ; წადი, ითამაშე და მე აქ დავერჩები ბავშვთან... მერე, როცა ფარდა აიხადოს, გრიგულიარი გამოჰგზავნე.

— მართალი ხარ,—უპასუხა დედაკაცმა,—უნდა წავიდე სათამაშოდ.

ცოლმა გაისწორა ტანისამოსი და დააპირა გასვლა, მაგრამ ქმარმა შეაყენა ისევ.

— ერთს წუთს დაიცადე; მაგრე არ შეიძლება გასვლა. რასა ჰგავს შენი სახე. მოდი, პატარა ფერ-უმარილს წაგისვამ.

გაუსწორა თმები, მოსწმინდა ცრემლები და წაუსვა ფერ-უმარილი.

— ახლა წადი და კარგად გაართე ის ხალხი... ბილბოკეტტაც ეცადოს. დღეს დიდი დახლი გვექნება! ბავშვი კარგად იქნება, ღმერთია თავედები.

მასხარა მარტო დარჩა. კვლავ მივიდა ბავშვთან და დაეცა მუხლებზედ საწოლ წინ. პატარა ხანს ყმაწვილი ისევ წინანდელს ყოფაში იყო; უეცრად შეინძრა და ოდნავ გაახილა თვალები.

მამამ ტკბილად დაუწყო ლაპარაკი თავისს ყმაწვილს:

— როგორა ხარ, ჩემო საწყალო პაწაწინავ? მითხარი, რა გტკივა, გენაცვა?

ყმაწვილი უფრო ძრიელ შეინძრა, დიდის გაჭირებით ამოისუნთქა და მწარედ დაიკვნესა.

მამამ დააცქერა თვალები ყმაწვილს, უნახა მაჯა, ხელი გადუსვა შუბლზედ, ლოყებზე, ეცადა წამალი დაელევინებინა და თან კვლავ ჩასჩურჩულებდა;

— ავადა ხარ, საწყალო, კიდევ? აჰა, დალიე, დალიე, გენაცვა!

ყმაწვილს თითქო კრიჭა შეჰკვრიაო, არ უნდოდა, ან არ შეეძლო დაელია წამალი.

— დალიე, ჩემო ტრედო, რა არის? ისეთი ტკბილია, რომ გიამება, აბა ნახე .. მამას მკლავზე ჰყავნდა გადასვენებული ყმაწვილი და გულში იკრავდა.

— ვაი, ვაი,—დაიკვნესა ყმაწვილმა და თითქო დაუსტვინა რამემაო, ისეთი ხმა ამოვარდა პატარა ყმაწვილის გულიდამ.

მამა შეჰკრთა, მოისროლა კუზი, მოიწმინდა ცრემლი, რომელიც თვალთ უბნელებდა, და დაუწყო კვლავ ალერსით ლაპარაკი პატარას:

— მითხარი, შვილო, ვერა მხედავ? ვერა მცნობ მამა შენს? მე ხომ შენი მამა ვარ, შენი ბიბი. აი მე რა მოგიტანე. დაინახე, რამ ჯინჯარე შაქარი აქვს მამა შენს შენთვის. შვილო... შვილო... ჩემო ძვირფასო შვილო, გაახილე თვალები, შემოჰხედე შენს საცოდავს მამას! ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, აღარც-კი ჰსუნთქავს!.. გამიგონე, შვილო: ერთი სიტყვა მაინც მითხარ, ჩემო კარგო! ღმერთო, რა ამბავია ჩემს თავსა? აღარც-კი ჰსუნთქავს?

ამ დროს გაიღო კარი და გრიგულიარმა ხმა-მაღლა სთქვა:

— სავსეა ფარდული, ბატონო, უნდა ფარდა ავხადოთ.

ბიბი-ლოლომ ხმა აღარ გასცა, თვალ-დაბნელებული წამოვარდა და გიჟივით გავარდა სცენაზე. ცრემლები არჩობდა საცოდავს, მაგრამ მაინც გამოუცხადა ხალხს, როგორც იყო:

— ბატონებო, წარმოდგენა აღარ იქნება... ჩემი ყმაწვილი გარდაიცვალა!.. თქვენს ფულს კასიდამ მიიღებთ...

ეს სიტყვები ისე სთქვა, რომ ფარდულში მდუმარება ჩამოვარდა, მაგრამ ამ მდუმარებამ მხოლოდ ერთს წუთს გასტანა... კვლავ გაისმა გრიალი: „ბრავო“, „ბის“! სასოწარკვეთილება ბიბისა ყველამ მასხარაობად მიიღო და იფიქრა, რომ ესეც უთუოდ აფიშაში ეწერაო.

ბიბი სახტად დარჩა, მერე ქვითინი დაიწყო და ხმა-მაღლა დაიძახა:

— მართალს მოგახსენებთ, ბატონებო! შვილი მომიკვდა. ფულებს უკანვე დაგიბრუნებთ!

ხალხმა კიდევ არ დაუჯერა ბიბის, კვლავ დაჰკრა ტაში და დაიწყო „ბრავოს“ ძახილი: საკვირველი თვალთ-მაქცია ეს ბიბი-ლოლოვო!

— არა ვხუმრობ, მართალს გეუბნევით!—ჰყვიროდა საწყალი:—ფულები უკანვე დაგიბრუნდებათ.

მაგრამ რაც უფრო ძრიელ ჰყვიროდა, ტაშის-კვრა მით უფრო ძრიელი იყო.

ბიბი-ლოლო გიჟივით გავარდა სცენიდამ, ავიდა თავისს ბინაზე, წაავლო ყმაწვილს ხელი, გამოიტანა სცენაზე და დაანახვა ხალხს ცხედარი.

ხალხმა ბილეთების ფული აღარ აიღო უკან და ამ გულ-უხვობის წყალობით პატარა ბიბი-ლოლოს ცალკე სამარე ეღირსა სასაფლაოზე.

გრ. ყ—ძე

ნაწნავები გისერზედ შემოხვეული. მოკლულთ გამოშრილი ჭქონდათ თურმე მარცხენა თირკმელი ისეთის ხელოვნებით, რომ აშკარად ამტკიცებდა მკვლელი განვითარებული და დახელოვნებული უნდა ყოფილიყო ანატომიაში. ექიმებს უთქვამსთ, სხვათა შორის, რომ შეიძლება უბრალო სისხლის მსმელი, ჭკუათა არ-მყოფელი ყასაბიც იყოს, რადგან ყასაბებმაც კარგად უწყიან ადამიანის აგებულობაო. ხოლო „Daily Telegraph“-ში გამოცდილი ფსხიატრი უარ-ჰყოფს ამგვარს დასკვნას ზემოხსენებულის ექიმისას და ამბობს, რომ ამდენს მკვლელობას ერთი ადამიანი ვერ ჩაიდენდა, მთელი ბრბო ჰმოქმედებს ავაზაკებისა, თუმცა-კი ჩამგონებელი და ხელმძღვანელი ერთი უნდა ჰყავდეთო. ეს მკვლელი ამ დღეებში შეუპყრიათ, ვიღაც ფიცგერალდია, ამერიკელი. ამ კაცმა აღიარა თურმე, რომ ოთხივე დანაშაული მე ჩავიდინე, რადგან მინდოდა ანატომიურად გამომეკვლია ადამიანის აგებულობაო. ექიმები იმ აზრისანი არიან, რომ დამნაშავე საანატომიო დანას დიდის ხელოვნებით ჰხმარობსო.

— ქ-ნი პერტა შტუკარტი, რომელმაც სპაში, ლამაზთა ქალთა გამოფენის დროს, მეორე ჯილდო მიიღო, ამ ჟამად ბერლინში იმყოფება; ამ ქალს ერთი ანტრეპრენიორი დიდ-ძალს ფულსა ჰპირდება თურმე იმ პირობით, რომ ნება მომეცი გერმანიის სხვა-და-სხვა ქალაქებში დაგატარო და მსურველთ ფულით გაჩვენოვო. ქ-ნს შტუკარტს განზრახვა აქვს არტისტ-ქალად შევიდეს „Reihshallen-Theater“-ში.

— ამას წინად ტრიპოლისში მისულა ოსმალეთის ხომალდი და მიუტანია სტამბოლიდგან დიდის ვეზირის გაგზავნილი საჩუქარი ქალაქის მიმართ სამი ბეწვი წინასწარმეტყველის წვერისა. ეს საჩუქარი დებულა მეირფასს მოსევადებულს კოლოფში. წინასწარმეტყველის ბეწვნი დიდის ამბით გადაუტანიათ დარუმის მეჩითში.

— მარსელში ამას წინად ერთი ტრაგიკული ამბავი მომხდარა. ახალგაზდა ქალი ბერტა მიშელი მოუტაცნია ცხენის რკინის გზის ერთს მსახურს, ლეონ მარშანს. ქალის მამას, საპნის ქარხნის პატრონს, ერთხელ ამას შემდეგ უცბად უნახავს თავისი ქალი ქუჩაში, წაუყვანია სახლში და შემდეგ მონასტერში მიუცია. მერე უპოვნია თავისის ქალის მომტაცებელი და ჯოხი დაუკრავს თავში. როცა დაუპატიმრებიათ, რათა პოლიციაში წარედგინათ, ამოუღია ჯიბიდგან დამბაჩა, უსროლია ყმაწვილის კაცისათვის და იქვე სული გაუნთხევინებია.

— ალექსანდრიაში ამას წინად უპოვნიათ ერთი აკლდამა, რომლის შესახებაც, უეჭველია, არხეოლოგთა შორის დიდი ჩოჩქოლი და ბაასი ასტყდებაო. ამბობენ, რომ ეს აკლდამა ალექსანდრე მაკედონელისაა, რომელსაც წარსულს წელს ამაოდ ეძებდა შლიმანიო. კუბო მარმარილოსაგან არის გაკეთებული და გვერდები და სახურავი ლამაზად აქვს მოხატებული. კუბოს ერთის მხრივ კაცის თავი უპოვნიათ.

— ლონდონში ახალ ლორდ-მერად ამ 1888—89 წლისათვის ამოურჩევიათ ჯემს უიტგიტი, მარაოს მკეთებლების ამხანაგობის წევრი. ჯემსი 54 წლისაა, პოლიტიკას თვალ-ყურს ადევნებს და ირლანდიის თანამგრძნობელია.

## გასართობი

დუელი დღე დღეზედ ათას გვარად იცვლის ფერსა და იერსა. ამას წინად ჩვენს გაზეთში მოთხრობილი გვქონდა, რომ ორმა კაცმა ერთი მეორეს ფეხი-ფეხზედ დააბჯინეს და ასე ახლოდგან ერთმანეთს დანებს ურტყამდნენ იმ დრომდე, ვიდრე ორივენი სისხლში შეხასრულნი და მოუძლურებულნი არ დაეცნენ დედამიწაზეო. ასეთი დუელი, ხმალში გასვლა პირველი მაგალითი იყო. აი კიდევ მეორე ამ გვარივე დუელი, რომლისთანა, როგორც გვგონია, ჯერ არსად უნდა გაგონილიყოს. ეს დუელი მომხდარა კანზას-სიტში. ვიღაც დანიელ კერტრეიტსა, მდიდარს სასტუმროს პატრონს, ჩხუბი მოსვლია ერთს ცხენების დალალთან, ჯემს დონეიოსთან, რომელსაც დუელში გამოუთხოვნია. ერთის მეგობრის რჩევის თანხმად გარდაუწყვეტიათ, რომ ვიბრძოლოთ... შუბლითაო, ისე როგორც ყოჩები ჭიდაობენ ხოლმე. ეს რჩევა ორივე მებრძოლთ მოსწონებიათ და გასულან ქუჩაში, დამდგარან ერთიერთმანეთზე ოც-და-ათის ნაბიჯის მანძილზე, გაქანებულან და შუბლებით დასტაკებიან. ამ დატაკებას ისეთი ხმაურობა მოუღია, რომ შორს მდგომი პოლიციელი მოუხედებია და ორივე შეუპყრობინებია. როცა პოლიციაში შეუმოწმებიათ, კერტრეიტს ცოტათი დაზიანებული ჰქონია ტვინის ფარი.

**

რა აჭირებული ხალხი არ იპოვება ქვეყნის პირზედ, ისეთი ხალხი, რომელიც სრულიად თავისებურია, თავისის ზნისა და ხასიათისა და აუქმებს იმ თქმულებას ჩვენის პოეტის გურამიშვილისას, რომ

მსგავსი ყველაი მსგავსსა ჰპოვს,
მსგავსნი მსგავსს ემსგავსებიან.

აი სწორედ ერთი ამ ნაირი არავისი მსგავსი კაცი გარდაცვლილა ამას წინად ამერიკის ქალაქ ბაზილში, გვარად ჯონ კაუფმანი. ამ კაცს ზნედა სჭირდა თურმე ქალის ფეხთსაცმელის მოპოვება და არავითარს საშუალებას არ ერიდებოდა, ოღონდ-კი იგი შეეძინა როგორმე, ხშირად იპარავდა კიდეც საკოლექციოდ. ამ რამდენისამე წლის წინად ერთ ამ ნაირს ქურდობაზე მოასწრეს და შეიპყრეს, დააპატიმრეს. იმ დროს 40—50 წყვილი ქალის ფეხთსაცმელი აღმოაჩნდა თურმე და სულ ერთიანად აუწერეს. ეხლა კიდევ სიკვდილს შემდეგ ასი წყვილი ქალისავე ფეხსაცმელი აღმოსჩენია.

## დეპეშა

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. გაზეთი «С. Петерб. Вѣд.»-ი იუწყება, ვითომ განზრახვა აქვსთ იმ გუბერნიების უფროსებს, სადაც ერობა არსებობს, მეტი უფლებანი მიანიჭონ. გუბერნატორებზე დამოკიდებული იქნებაო ერობის კრებათა ყველა გადაწყვეტილების დამტკიცება, იმ გარდაწყვეტილებათა გარდა, რომელთა დამტკიცება ერობის ახალის წესდებისამებრ დამოკიდებულია შინაგან საქმეთა მინისტრზე. აგრეთვე გუბერნატორს უფლება ეძლევა სისრულეში მოიყვანოს ის საქმეები, რომელთა დაყოვნება შეუძლებელია; შეუძლიან აგრეთვე ამ საქმეებს მოახმაროს ერობის ფული; ამასთანავე ნება ექნება საჭირო ბრძანება მისცეს ერობას „პრისუტსტვიას“ და ახალი ხარჯი აკისრებინოს. იმ შემთხვევაში, როცა ერობასა და გუბერნატორს შორის უთანხმოება ჩამოვარდება, გუბერნატორს ნება ეძლევა მინისტრს მიჰმართოს; მინისტრს-კი, თუ საჭირო იქნება, შეუძლიან საქმე გადასცეს მინისტრთა კომიტეტს.

იერუსალიმი. შაბათს დილის ამბით აკურთხეს წმ. მარიამ-მაგდალინელის ეკკლესია გეთსიმანიის მახლობლად. ეკკლესია აშენებულია ხელმწიფე იმპერატორისა და იმისს უავგუსტოეს ძმათა ხარჯით განსვენებულის იმპერატრიცის მარია ალექსანდრეს ასულის მოსახსენებლად. ეკკლესია აკურთხა იერუსალიმის პატრიარქმა. კურთხევაზე დაესწრნენ დიდი მთავრები სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი და მისი უმაღლესობა ელისაბედ თეოდორეს ასული.

ბერლინი. ექიმის მეკენზის წიგნაკი, რომელიც გერმანელ ექიმების წინააღმდეგ არის დაწერილი, გერმანელმა პოლიციამ სრულიად აღკრძალა.

რომი. პროკლამაციები, რომელნიც რომში გაავრცელეს, როცა გერმანიის იმპერატორი აქ იყო, საფრანგეთის საქმეა.

სოფია. ხალხი ძალიან შესწუხდა ხარჯის მოკრეფის გამო. შიში აქვსთ, რომ ოქტომბერში, არჩევნის დროს, რაიმე უწესოება არა მოხდეს-რა.

პარიჟი. ფლოკემ წარუდგინა პალატას კანონ-პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე. ფლოკეს აზრით, კონსტიტუციის გადასინჯვა საჭიროა რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის და მონარქიელების საწინააღმდეგოდ.

### პეტერბურგის ბირჟა, 30 სექტემბ.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 45 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 263 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 238 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97 „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხის. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4
მე-3 — . . . „ „

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 0 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი. . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

ექიმი რეიხი კვლავ მიიღებს თვალით ავადმყოფთა.

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი ხარაზოვისა, № 3 ყოველ დღე, დილის ცხრა საათიდგან ათ საათამდე. 3—3

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ბ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |


Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე